აბაშის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის სხდომის

ოქმი №9

ქ. აბაშა, 2021 წლის 21 ნოემბერი.

სხდომის ადგილი: აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობა (ქ. აბაშა, უ. კაჭარავას №1).

სხდომას თავმჯდომარეობდ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე დავით ცანავა.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: მურთაზი ჯალაღონია, დავით კაჭარავა და იაგო თოდუა.

სხდომას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: დიმიტრი ვერულაშვილი, ზეზვა მაკალათია და კოკი ჩაჩავა.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი და დააყენა კენჭისყრაზე.

დღის წესრიგი

1. აბაშის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვის დაწყების შესახებ.

   მომხს: დ.ცანავა

2. „აბაშის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 დეკემბრის N12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

   მომხს: დ.ცანავა

3. აბაშის მუნიციპალიტეტის 2022 წლის მესამე კვარტლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

მომხს: დ.ცანავა

კომისიამ კენჭი უყარა დღის წესრიგს (მომხრე - 4 ; წინააღმდეგი -0) და განაგრძო მუშაობა წარმოდგენილი დღის წესრიგის შესაბამისად.

მოისმინეს :

1. აბაშის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვის დაწყების შესახებ.

მომხს: დ.ცანავა

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი - აბაშის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვის დაწყების შესახებ.

აზრი გამოთქვეს: ი.თოდუამ და მ.ჯალაღონიამ.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე -4; წინააღმდეგი -0) აბაშის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ

დაადგინა:

განკარგულების პროექტი - აბაშის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვის დაწყების შესახებ გატანილ იქნეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის მიზნით.

მოისმინეს :

2. „აბაშის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 დეკემბრის N12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს: დ.ცანავა

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი - „აბაშის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 დეკემბრის N12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

აზრი გამოთქვეს: მ.ჯალაღონიამ და დ.კაჭარავამ.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე -4; წინააღმდეგი -0) აბაშის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ

დაადგინა:

დადგენილების პროექტი - „აბაშის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 დეკემბრის N12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე გატანილ იქნეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის მიზნით.

მოისმინეს :

3. აბაშის მუნიციპალიტეტის 2022 წლის მესამე კვარტლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო აბაშის მუნიციპალიტეტის 2022 წლის მესამე კვარტლის ბიუჯეტის შესრულება

აზრი გამოთქვეს: დ.კაჭარავამ და ი. თოდუამ.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე -4; წინააღმდეგი -0) აბაშის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ

დაადგინა:

საკითხი- აბაშის მუნიციპალიტეტის 2022 წლის მესამე კვარტლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ გატანილ იქნეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის მიზნით.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი ამოწურულ იქნა და კომისიის სხდომა დახურულად გამოცხადდა .

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე: დ.ცანავა